

სამუშაო უნივერსიტეტი

მუსეაზემი

(იძეჭდება თო კვირაში ერთხელ)

ქურნალის ფასი წელიწადში . . . 3 მან. || რედაქცია: კავკასიის სამეცნ. საზოგადოება
თითონიმებრი სელჩე გასასყიდად 10 კაპ. || აღმასი: თბილისი, ვარიანსკა, № 5.

წლიწადი გეორგი

1910 წლიწადი.—14 იანვარი.—№ 2.

მინისტრი

3.	რცხილაძე	მცენარენი და ცხოველნი	3
3.	გულბაათიშვილი	ნიადაგი	5
3.	ახოშვილი	მნალი და ვაშლი	6
3.	ცხადაძე	შინაური ცხოველების ავადმეცოვანი და ქქიმობა	8
3.	ნახუცრიშვილი	მინერალური სასუქები	11

საყურადღებო ცნობები:

ძუძუ-მარწევა	15
ნილის გვარჯილი მწერის წინააღმდეგი	15
სელოვნური სასუქი კატრის ბადში	15

განცხადებანი 16

სამეურნეო ქურნალი

მოსკოვი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს ქურნალში დაიბეჭდა წერილები შემდეგი შემცირებისა:—
3. ავტომატის, ა. აფხაზის, აგრიკოლასი, გ. ახლაძესი ლ. გოგიაშვილისა, გ.
გულბათიშვილისა, დ. გორიაშვილისა, შ. დედაბრიშვილისა, ელექტრი, ტ. ერლაშვილისა,
შ. ზალიშვილისა, ა. თამაშევისისა, ე. იოსელიანისა, დ. ქანჩირისა, ე. ქარბელაშვილისა, პ.
ლორთულისა, დ. შეღანისა, ს. მაგალიშვილისა, მ. მაღალაშვილისა, ნ. მაკა-
შვილისა, გ. შექელიშვილისა, შ. მაშვლაშვილისა, გ. ნახუციშვილისა, ც. ნ., ი. პა-
ტაშვილისა, გ. რცხილაძესი, მ. სემიონოვასა, პროფ. ა. ფორცუნაცოვისა, გ. შელისა,
ი. წინაშედვარიშვილისა, ს. ხუნდაძესი, ე. ხრამელაშვილისა, მ. ჯანაშვილისა, ი. ჯორ-
ჯაძეს და რამდენიმე წერილი ხელმოუწერელი.

რედაქტორი მოელის სხვებიდანაც თანამშრომლობის სურვილის გამოცხადებას.

რედაქტორისათვის ტერმინების შესამუშავებლად არსებობს კოლეგია, რომლის კომ-
პეტუნია რედაქტორის სავალდებულოთა აქტს თავისთვის მიღებული იმ იმედით, რომ
გარემოება იგი ერთის მხრით გამბედაობასა და სიმშევიდეს მისცემს შრომაში ყველა
იმათ, გინც ქალაქ გარედ სტრონბენ და არ შეუძლიანთ რედაქტორისათვის პირისპირ
შეთანხმება რომელიმე ტერმინის ხმარების შესახებ, და მეორეს მხრით მისცემს ქარ-
თულს ენას მერინიერებითა ყველა დარგში გარჩვეულ სახიერებას.

კოლეგიაში ჯერხანობით მოწვევულ არია: გოგებაშვილი ი., სარაჯაშვი-
ლი ა., ჯანაშვილი მ., თაყაიშვილი ე., იოსელიანი ე., გულისაშვილი შ., ყიფშიძე გ.,
ჯაბადარი ი., კარიგაშვილი დ., ბილანაშვილი შ., დედაბრიშვილი შ., ღამბაშიძე გ.,
ალაძე ი., გულისაშვილი მ.

თანამშრომელთა საშუალებები

ქურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ზარჯი სტამბისა და კანცელარიისა, და-
ნარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორ-
ციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქტორი შეასწოროს და შეა-
მოკლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელიც არ დაიბეჭდებიან, არც შე-
ინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქტორი მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი
შეამავლობა სამეურნეო იარაღისა და მაშინების და აგრეთვე ყველა სამეურნეო
ნაწარმოების შეძენაზე აღმოგები.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრი-
ქონი (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ლირს თრი შაური.

წლიურ აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქტორისათვის შეთანხმებით.
განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

წლის დამლევს ხელისმომწერლებს საჩუქრად დაეგზავნებათ რჩეული თე-
ლეულობა სხვადასხვა სამეურნეო მცენარეთა საუკეთესო ჯიშებისა.

აგრედვე, თუ შეძლება ექნება რედაქტორს, უკუნალის ხელისმომწერლებს გაუგ-
ზავნის უფასოდ დამატება-ბრონშურას მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

შურნალი შელიზადში ღის 3 მანეთი.

რედაქტორის ადრესი: თიფლის, ბარათინსკაი, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი 3. ი. რცხილაშვილი

მცენარეები და ცხოველები

მცენარეებისა და ცხოველების ურთიერთ უთარის დამოკიდებულება

უველაზე მეტად საყურადღებო და ფრიად შესანიშნავი დაკავშირება ცხოველებისა მცენარეებთან იმაში გამოიხატება რომ ცხოველები ბუნებაში მხოლოდ მცენარეების წყალობით არსებობენ.

ორგანიული ნივთიერების წარმოშობა არა ორგანიული მასალიდან მხოლოდ იმ მცენარეებს შეუძლიანთ, რომელთაც ეგრედწოდებული ქლოროფილი ან მის მზგავსი ნივთიერება აქვთ უჯრედებში.

ქლოროფილის ბუშთში ნახშირმჟავე სითბო-სინათლის ზედმოქმედებით იშლება მჟავებადათ, რომელიც ჰაერს უბრუნდება უკანჩე, და ნახშირბადათ, რომელიც ბუშთშივე რჩება და გარდაკეთდება სახამებლად და სხვა ორგანიულ ნივთიერებებათ.

ესოდენ რთული ორგანიული ნივთიერებების მიღება როგორიც არიან სახამებელი, სიმსუქნე, ეთეროვანი ზეთები და სხვა ისეთი მკვდარი მასალიდან როგორც წყალი და ნახშირმჟავე მზის სხივის ზედმოქმედებით მათზე მარტო იმ საიდუმლოებით მოცულ ქარხანაში შეიძლება მოხდეს, რომელსაც ქლოროფილის ბუშთი ანუ პლასტიდი ჰქვიან სახელად და რომელიც ბლობად იმყოფება მცენარის მწვანე ფოთლებსა და სხვა ნაწილებში.

ოლონდაც რომ გასაკვირველია.

წყალი (სითხელე) და ჰაერგვარი (როგორსაც მაგალითად ჩვენ ამოვისუნთქავთ ფილტვებიდან) და ამათიდან სა-

ხამებელის მაგარი მარცვლები, რომელნიც მრავლად გროვრდებინ ქლოროფილის პლასტიდებში!

დასარწმუნებლად გაშინჯეთ მიკროსკოპით მცენარის მწვანე ფოთოლი ჯერ დილით ადრე და მერე საღამოთი. დილით სახამებლის ნატამალსაც ვერ ნახავთ ფოთლის ქლოროფილში, საღამოთი კი მის პლასტიდები გამოჭვდილი დაგხვდებათ სახამებლის მაგარი მარცვლებით.

მართალია, გასაოცარია ეს მოვლენა, მაგრამ ასე კი ა.

აქედან ცხადია, რომ ეს სახამებელი იმ დღით გაკეთებულა.

მაში ახლა უნდა შემდეგი ვიკითხოთ: ქლოროფილის ბუშთიდან სად მიღის, სად იმალება ეს სახამებელი მეორე დღიამდე?

გამოკვლევა შემდეგ პასუხს გვაძლევს ამ კითხვაზე: ქლოროფილის პლასტიდებში მომზადებული დღისით სახამებელი იმავე ღამით მცენარის ნერწყვმაგვარი ლორწოს ეგრედწოდებულ პრიალინის ზედმოქმედებით გარდაკეთდება ხოლმე შაქრათ და შაქარი ხომ ადვილი დასაღნობია, ღნება მცენარის წვენში და ჩასდევს ამ წვენს ქვევით, სადაც გარდაეცემა მცენარის ნაყოფსა და მის სხვა ნაწილებს.

ამ სახით ცარიელდებიან ქლოროფილის პლასტიდები და როცა გათენდება, ეს საოცარი წარმოება ამ გასაოცარ ქარხანაში ისევ ხელახლად იწყობა.

აქედან აშკარად სჩანს რომ უველის თრგანიული ნივთიერებანი, რომელიც აუცილებელ საჭიროებას შეა-

დგენერ ცხოველებისათვის, მცენარეებს უმზადებიათ ბუნებაში; ცხოველები კი, მცენარეებით იკვებებიან ისინი თუ სხვა ცხოველებით სულ ერთია, ამ მზა-მზა-რეულად მომზადებულს ორგანიულ ნივთიერებებსა ხარჯავენ. გაშასადამე საბუთი გვეძლევა ვსოდეთ, რომ ცხოველების მთელი სამეფო წარმოადგენს ერთ დიდ უშველებელ პარაზიტს, რომელიც მცენარეთა სამეფოს ტანზედა სცხოვრობს და სხვა გზით ან შეუძლიან არსებობა.

რადგან ოკეანების დიდ სილრმეზე მრავალი ცხოველები არიან და მათ-თვის საჭირო ორგანიული ნივთიერებანი კი იქვე მომზადებიან უსინათლოდ, რომელიც იმ სილრმედე სრულებით არ ჩაღის, ამიტომ ჩვენ უნდა ვითიქროთ, რომ იმ სილრმეში მყოფ ცოცხალ ორგანიზმოთათვის საჭირო ორგანიული ნივთიერებანი ზემოდან ჩადიან. ამ ორგანიულ ნივთიერებებს შეადგენენ ჯერ ერთი ის ნივთიერებანი, რომელიც მდინარეებს ჩააქვთ ზღვაში, და მეორე ის დახოცილი მცენარენი და ცხოველები, რომელიც ცვივიან ძირს ოკეანების და ზღვების იმ მაღლითა ადგილებიდან, საღაც მზის სინათლე სწვდება წყალს და სენებულ ორგანიზმოების სიცოცხლე შესაძლებელი იყო. ერთნიც და მეორენიც დროგამოშვებით ცვივიან ოკეანების ძირისაკენ როგორც მაღლიდან წამოსული წვიმა და კვებავენ იქაურ მიღამოების მცხოვრებლებს.

კასპიის ზღვაზე ყოფილმა 1904 წელს ექსპედიციამ, რომელსაც შეეგროვებინა და ცნობაში მოეყვანა ამ ზღვის 400 მეტრის სილრმეზე არსებული პლანქ-

ტონი *), აღვიარა, მაგალითად, რომ კასპიის ზღვაში ცხოველები 400 მეტრის სილრმემდე ჩადიან საცხოვრებლად და მცენარენი კი ვერა სძლებენ და არც არიან ამ სილრმეზე, ხოლო პლანქტონი ზღვისა ამ ადგილის სხვადასხვა ბაქტერიების გარდა შესდგება განსაკუთრებით იმ ორგანიზმოების გვამებისაგან, რომელიც ზღვის მაღლითა ნაწილებში სცხოვრობდნენ.

ყოველთვის როდესაც მცენარეებისა და ცხოველების ურთიერთ შორის დამოკიდებულებაზე გვაქვს ბაასი, ის დიდ-მნიშვნელოვანი მოვლენაც უნდა გვახსოვდეს, რომელიც როგორც ზემოთა ვსოდეთ ცხოველების სუნთქვისა და მცენარეების კვების დროსა ხდება. ეს ე იგი რომ ცხოველები თავიანთი სუნთქვით ხარჯავენ მჟავბადს და ატმოსფერას ჰმატებენ ნახშირმჟავეს; მცენარენი კიდე ამ ნახშირმჟავეს შლიან, ნახშირბადს თითონ იღებენ და განთავისუფლებულ მჟავაბადს ისევ ატმოსფერას უბრუნებენ. ეს მოვლენა მარტო ატმოსფერაში კი არა წყალშიაცა ხდება.

აქვე უნდა აღნიშნოთ აგრძელვე ერთი სხვა ფრიად შესანიშნავი მოვლენაც, რომელიც მცენარეთა და ცხოველთა ურთიერთ შორის დამოკიდებულებას გვამტკიცებს. ჩვენ გვაქვს სახე-შიზოგიერთგვარ მცენარეების ის თვისება, რომლის ძალითაც ეს მცენარენი იზიდავენ ატმოსფერიდან თავისუფალ აზოტს, შეაერთებენ მას სხვა ნივთიერებასთან და ამ გზით წარმომდგარ

*) პლანქტონი ნიშავს ყველა იმ ორგანიზმებს ერთად, რომელიც სცხოვრობენ ზღვაში ერთ რომელიმე სილრმეზე და არც იმაზე მაღლა ამოდიან და არც ძირს ჩადიან.

გარილში აზოტი შეკრულ-შებოჭილი ჩემი ნიაღაში, სადაც სხვა გვარი მცენარეებისათვის იგი საუკეთესო საკუთხევლის შებავს შეადგენს. ცხადია რომ ამ მო-

ვლენას ბუნებაში ცხოველებისათვის— საც დიდი მნიშვნელობა უნდა ქონდეს.

ვ. რცხილაძე

ნიაღაში

ნიაღაშის შემოწმება

როდესაც გვინდა ნიაღაგის შედგვნილობა შევამოწმოთ, ასე უნდა მოვიკეთ. ამოვთხრით ერთ დესტინაზე 5—8 ალაგის არხს სილრმით 22 ვერშ., სიგანით 9—10 კ., სიგძით 26—27 კ. და მაშინვე, სანამ არხს ნაპირები ჩაენგრევა, შევუდგებით შემოწმებას.

არხები დაითხრება ხსენებული სილრმისა, ცხადია, იქ, სადაც ნიაღაგს ამაზე ნეტი სისქე აქვს, ესე იგი სადაც ნიაღაგის საძირკველი სალი კლდე 22 ვერშოკზე უფრო ღრმათა დევს.

ერთ-ერთ ალაგის სასურველია ნიაღაგი სალკლდემდე ამოითხაროს და მთელი სისქე ნიაღაგისა გაიზომოს, თუ სალი კლდე მაინცა და მაინც დიდ სილრმეზე არა არის და გაუჭირებლივ მოვახერხეთ ესეთი გათხრა. ეს იმიტომა საჭირო, რომ როგორც შემდეგ ვნახამთ ნიაღაგის ძლევამოსილობა და მოკიდებულია არა მარტო იმ ზემოთა ნაწილზე, რომელსაც ყოველწლივ ვაბრუნებთ, ვაპატივებთ, რომელსაც უწევს ჰაერი, სითბო-სიცივე, არამედ იმაზე-დაც, რომელიც ამ ზემოთა ნაწილის, ზეადაგის, ქვევით იმყოფება— ნიაღაგის ქვედა პირზე.

ზოგ მცენარეებს, მაგალითად იონჯას ფესვები 10—15 არშინის სილრმეზე და უფრო ღრმათაც მისდით. მეტწილ მცენარეებს კი ნიაღაგი ერთობი არშინის სილრმისა ჰყოფნით. ნა-

კლები სისქის ნიაღაგით კმაყოფილდებიან მხოლოდ ხორბლეული მცენარეები და მეტი წილი ბალახები, თუმცა როცა ხანგრძლივი გოლვა დგება და ცხელა ამგვარ ნიაღაგებში ეს მცენარენიც შეწუხდებიან ხიალმე.

პატარა სისქის ნიაღაგი, თუ ძალიან დაქანებულია, ადვილად შეიძლება ნიაღალოვნითაც ჩამოირეცხოს მთლად.

ზემოხსენებულ არხის კედლებს რომ დავაკირდეთ, შევატყობთ: ზოგ ნიაღაგებში აშკარად ემჩნევა ის აღვილი, სადაც ნიაღაგი თავდება და სალი კლდე იწყობა და საზოგადოდ ერთმანეთზე მოყოლებული შრეები ნიაღაგში დიდიდ განსხვავდებიან ერთი შეორისაგან; ზოგან კი ეს განსხვავება ძნელი შესამჩნევია.

პირველგვარ შემთხვევაში ნიაღაგი ადგილობრივი არ არის, არამედ წყლისაგან არის მონაშეული და ამიტომ სახელად ნაშე ჰქვიან, მეორე შემთხვევაში კი ნიაღაგი იგი ადგილობრივ არის წარმომდგარი და მკვიდრ ნიაღაგს უწოდებენ.

განვაგრძოთ ჩვენი დაკვირვება.

გარდიგარდობები გადაჭრილი არხში ნიაღაგის შრეები ჩვენ შეგვიძლიან გავზომოთ და გავიგოთ რომელი შრე რამდენი სისქისა არის, შეიძლება შევამოწმოთ რომელი რამდენად არის წყლის ამღები ან რამდენად ადვილად გაატარებს წყალს: რომელშიაც მეტი ქვა-ქვიშა იქნება, ის უფრო მეტად



გაატარებს წყალს; რომელშიაც თიხა იქნება მეტად, ის უფრო წყლის დამჭერი ან წყლის ამღები იქნება და სხვა.

თუ გათხრილ არხში ნიადაგის რომელიმე შრიდან წყალმა გამოუვენა, დააცდიან ერთი მთელი დღე მანიც, რომ რაც შეიძლება მეტი წყალი მოგროვდეს არხში, და მეტე ჩამდგარი წყლის ზედაპირიდან ამოზომავენ სიმაღლეს ნიადაგის მაღლითა პირამდე.

თუ წყალმა არხი გაავსო, მაშ ნიადაგი ძრიელ ნესტიანი ყოფილა და გამოშრობას თხოულობს; თუ წყალი არხში ნიადაგის მაღლითა პირიდან ერთ არშინზე და უფრო დაბლა სდგას გრილ დღეშიაც კი, მაშინ ასეთი ნიადაგი ნესტიან-ჭაობიანი არა ყოფილა და არც გამოშრობაა მისთვის არავითარი საჭირო. როგორ ექცევა წყალი ნიადაგს, ამაზე უძმდება.

8. გულბაათიშვილი

მსხალი და ვაშლი^{*)}

ჯერ ერთი უპირატესობა ნაგალა ხეხილებისა ტანვან ხეხილებთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ ნაგალა ხეხილებს უფრო ძლიერ გამოაქვთ და ძლიერ ამწიფებენ ნაყოფს, რაც ძლიერ დაბრუნებას ნიშნავს დანახარჯისას. წინა წერილში უკვე გვქონდა ნათქვამი, რომ ტანმაღლი ხეხილები 10 წლის უძმდებ იწყობენ სხმოიარობას და მხოლოდ 15 წლის უძმდებ იძლევიან სრულ მოსავალს. ამ მხრივ ნაგალა ხეხილებზე სულ სხვა უნდა ვსთქვათ. ესენი ნაყოფის გამოტანას ვ წლის უძმდებ იწყობენ და 5—6 წლის უძმდებ სრული სხმოიარობა აქვთ გაჩაღებული.

სადაც სამარითალია მარტო ეს ოვისება უნდა ჩაითვალოს საკმარის საბუთად იმის წინააღმდეგ ვითომ მეხილეობა მომგებიანი საქმე არ იყოს.

2.—ტან-მაღლი ხეხილები დიდი მოსავლიანობის უძმდებ მეორე წელს ან ცოტას, ან სრულიად აღარ დაისხამენ ხოლმე. ნაგალა ხეხილებზე კი ეს არ

რაფერ სასარგებლო მცენარეს ვერ ვახარებთ ამისთანა ნესტიან ნიადაგში.

თუ იმდენი ჩადგა ეს წყალი რომ მის ზედაპირიდან ნიადაგის ზევითა პირამდე თორმეტიოდე ვერშოკი-ღა რჩება, მაშინაც ნიადაგი გამოშრობას თხოულობს; თუ წყალი არხში ნიადაგის მაღლითა პირიდან ერთ არშინზე და უფრო დაბლა სდგას გრილ დღეშიაც კი, მაშინ ასეთი ნიადაგი ნესტიან-ჭაობიანი არა ყოფილა და არც გამოშრობაა მისთვის არავითარი საჭირო. როგორ ექცევა წყალი ნიადაგს, ამაზე უძმდება.

9. გულბაათიშვილი

ითქმის: თუ მოვლა კარგი აქვთ, ესენი ყოველ წლივ ბლომად ისხამენ.

3.—თავის დღეში ტანმაღლი ხეხილების ნაყოფი ისეთი მსხვილი, მშვენიერი გემოსი და სუნისა, ლამაზი ფერითა და მოყვანილობით არ გამოაქვთ, როგორც ნაგალა ხეხილებს. ყველა გამოფენაზე საუკეთესო ხილი ნაგალა ხეხილებისაა ხოლმე.

4.—ხეხილებისათვის ღერო-ტანი სახიფათო ორგანოა. ძრიელ ადვილად ეკიდება მას სხვადასხვა ავადმყოფობა: კუ, თეთრი ბურტყლიანი ტილი, მგრაგნელი კია და სხვა; ადვილად ანძრევს ძირიან-ფესვიანად და ზოგჯერ კიდევაც გადაამტვრევს ხოლმე მცენარეს ქარი. ნაგალა ხეხილები კი ყველა ამას მორიდებულნი არიან. ტან-მაღლი ხეხილს ძილიან შორსა აქვს ფოთოლიც და ნაყოფიც ფესვებისაგან, რომლებითაც მცენარე ნიადაგიდან იღებს საკვებავ ნივთიერებებს. ნოვიერ წვენს ღერო-ტანის წყალობით უგძელდება და უძნელდება ასასვლელი მაღლამდე გზა, რომელსაც

*) იხილე მოხავალი 1909 წლისა.

გარშემო შემოჭირებული აქვს მჭიდროდ სქელი ქერქი და აძნელებს წვენის მოძრაობას. ნაგალა ხეხილებს კი ეს გარემოება არ აპრკოლებთ: როგორც ამავალი მაღლა ისე დაბლა ჩამომავალი წვენები უფრო ჩქარა ასწრობენ დაუბრკოლებლივ ისვლა-ჩამოსვლას და მით უფრო კარგად და ლაღად ზრდიან ნაყოფს.

5.—თუ ასტყდა ქარიშხალი, მაშინ ხომ ხეირი არ ეყრება ლერო-ტანიან ხეხილებს: მიჩებილ - მოჩებილი ტოტები, ერთმანეთში გახლართული კენწეროები, პირაღებით ძირს ჩამოყრევინებული რაც ესხა და ზოგჯერ თვით ხეხილებიც პირქვე დაცემული, აი ის სურათი, რომელიც დაგვიხვდება ხოლმე ბაღში ქარიშხლის შემდეგ. ნაგალა ხეხილები კი ამას მოშორებულნი არიან.

6.—წინა წერილში უკვე გვქონდა ნათქვამი რომ ბუჩქმაგვარი ფორმა ნაგალა ხეხილისა არაფერ გასხვლას არ თხოულობს. ტანმაღლი ხეხილებისათვის კი არა მარტო შემოდგომაზე და გაზაფხულზე, არამედ ზაფხულშიაც საჭიროა გასხვლა და ამ სამივე ღროის სხვლას კი, რომ ხეხილს ფორმაც და სხმოიარობაც წესიერი მიეცეს, იმდენი ცოდნა და გამოცდილება სჭირდება, რამდენიც ჩვეულებრივ მებაღეს არა აქვს ხოლმე და იგი თავისი მითამდა გასხვლით ხეხილებს იფუჭებს და არა აკეთებს.

7.—ზამთარში ხეხილის გაწმენდა აბლაბუდებისაგან, მწერების ხელით მოკრეფა, მათი კვერცხების გაყრევინება, წამლის შესხურება ზაფხულში რამდენჯერმე და სხვა დიდ სინაცვეს წარმოადგენს როცა ხეხილი ტანკვანია და ყველა ეს სრულიად აღვილია, როცა ბუჩქნარია.

8.—თუ ხეხილმა ძალიან დაისხა, მაშინ ხომ ტოტები უსათუოდ თხოულობენ საყენს, უამისოდ სხმას ვერ იტანენ და იმტვრევიან. ცხადია რომ ამგვარ შემთხვევაში თუ ხეხილი ტანმაღლია ყველა ეს ღიღი საწვალებელი და ძნელი მოსახერხებელი არის, თუ ბუჩქნარია — ადვილიად ხერხდება.

9.—ნაყოფის დაკრეფას, როცა იგი დამწიფდება, ღიღი მნიშვნელობა აქვს და ამაზე შემდეგ გვექნება ლაპარაკი, ხოლო ეხლა არ შეგვიძლიან არა ვსთქვათ რომ ტანმაღლ ხეხილებს ხან ბლერტავენ შერხევით ან ხალხით და ხან ჯოხით აყრევინებენ ნაყოფს. ხელით ზოკრეფა კი სათითოოდ, რაც ადვილია როცა ხეხილი ბუჩქნარია, თითქმის შეუძლებელი ხდება ზოგჯერ, როცა იგი ტან-მაღლია და ტოტებ შორ-გაშლილი.

10.—ტან-მაღლ ხეხილებს ფესვებიც ღრმად მისდით ნიაღაგში, ამიტომ მათ გასაშენებლად და კარგ გამოკვებისათვის ნიაღაგის ღრმად გადაბრუნება და პატივის ღიღ სიღრმეზე მიცემა არის საჭირო. ნაგალა ხეხილის ფესვები კი 8—9 ვერშოკის დაბლა არ მიღიან და ამიტომ, სადაც ნოყიერი ნიაღაგი სქლად არა დევს და ტან-მაღლი მცენარები ვერც კი იხარებდნენ, იქ ნაგალა ხეხილები მშვენიერად გვარობენ.

ყველა ზემოდ ნათქვამიდან, მგონია, ნათლად სჩანს რომ ნაგალა ხეხილების გაშენება ბევრით სამჯობინარია. ამითი ისტინება ის რომ ყირიმში ზოგმა მებალებმა სრულიად გაღაკაფეს თავიანთი ტან-მაღლი ხეხილები და ნაგალები გაშენეს და ვინც იქ ახლად აშენებს ბაღს, ისინი ხომ ყველანი მხოლოდ ნაგალა ხეხილებს ამრავლებენ.

ნაგალია ხეხილების გაშენების წინა-
აღმდეგ ორი მოსაზრება მოჰყავთ: ერთი
რომ ნაგალია ხეხილები პატარები არიან
და როგორც პატარებს ნაყოფის და-
სხმაც ბევრი არ შეუძლიანთ და მეო-
რე რომ ბუჩქნარი მცენარე ისე დიდ
ხანს ვერა სძლებს, როგორც ღერო-
სქელი და ტან-მაღალი ხეხილი.

პირველი მოსაზრების უსაბუთობა
შემდეგიდან სხანს: ტანიანი ხეხილები
უნდა ერთი მეორიდან დაშორებული
იყვნენ 9—12 არშინზე, უტანონი ანუ
ნაგალები კი 3—4 არშინზე. მაშასა-
დამე ერთ დესეტინაზე ტანიანები დაე-
ტევიან 150—260, ნაგალები კი—
1800—2400; ანუ ერთი ტანიანი ხე-
ხილის მაგივრად 16 ნაგალია შეგვიძ-
ლიან ვიქნიოთ. რასაკვირველია ცხა-
დია რომ 16 ნაგალია უფრო მეტს დაის-
ხამენ, ვიდრე ერთი ტანიანი და თუ
მხედველობაში იმასაც მივიღებთ რომ
ნაგალია ხეხილები უფრო ადრე და გა-
მუდმებულად ისხამენ ყოველ წლივ,
მაშინ ხომ მათი ზედმეტი ლირსება
ცხადზე უცხადესი იქნება.

მეორე მოსაზრებაზე—რომ ნაგალე-
ბი უფრო ნაკლებ ხანს გვემსახურე-

ბიან, უნდა შემდეგი ვსთვათ: ნაგა-
ლია ხეხილების სანმოკლე გამძლეობა
25—30 წლის მხოლოდ განმავლობა-
ში, თუ კი ეს მართალია, მაშ უნდა
იმითი აიხსნებოდეს რომ როგორც ნაგა-
ლები ორთაშე მეტს ისხამენ, ამიტომ
ხარბადაც სწოვენ დედამიწას, მალე
გამოფიტავენ მას, საკვებავი აკლდე-
ბათ და მალე უძლურდებიან და ხმე-
ბიან. სხვა არაფერი მიზეზით არ აიხ-
სნებს მათი ხანმოკლე გამძლეობა. აქე-
დან კი ცხადია რომ თუ გვინდა ხეხილი
მეტ ხანს, ვიმსახუროთ, მაშ მეტი პატი-
ვიც უნდა ვაძლიოთ გამოსაკვებათ.

თუ მაინცა და მაინც ბუჩქნარებს
ასე 20 წლის შემდეგ დაეტყობათ სი-
ბერე, უნდა ტოტების ღრმათ გადაჭ-
რით გავაახლგაზდაოთ იგინი და მა-
თი ჩვენდაში სამსახური კიდევ 10 წე-
ლიწადი მაინც უზრუნველ ყოფილი
გახდება. 30 წლის ნამსახურობა კი მა-
თი ზედმეტად დაპფარავს ტანიანი ხე-
ხილების 60—100 წლის სამსახურს.

როგორ უნდა გავაშენოთ ნაგალია
ხეხილები, ამაზე შემდეგ.

ვ. ახოშვილი

შინაური ცხოველების აკადემიურება და ექიმობა

ხბოს პირის ტკივილი

ძუძუმწოვარია ხბოს ენაზედ დააყრის
ხოლმე პატარა მუწუკებს, მეჭეჭების
შეგავსს. ღრძილები დასერილი აქვს
ხოლმე და შესივებული, პირი საესეა ქა-
ფითა და ლორწოთი; ხბო ტკივილს
გრძნობს პირში, ვეღარა სწოვს, რმშევა
და სუსტდება. ზოგჯერ სტომაქიც მო-
ეშლება, ტანში ცუდათ არის.

მიზეზი ამ ავადმყოფობისა: დედის
რძეა. რძეში სოკოები გაჩენილან და

ისინი იწვევენ ხბოს პირის ანთებას.

ექიმობა: 10 მისხალ სალიბს (შალ-
ჭებ) დასხამთ ნახევარ ბოთლ აღუღე-
ბულ წყალს და დააცლით ნახევარ საათს; მერმე გასწურავთ, ჩენჩოს გადაყრით,
განაწურს მიუმატებთ 14 მისხალ თა-
ფლს და 3 მისხალ შაბსა. ამნაირად
მომზადებულ სითხეს, გამოსცებთ ხბოს
პირში 4—6-ჯერ დღეში. თუ ამ წამ-
ლით არ გაუარა ავადმყოფობამ, მაშინ
2 ჩაის კოვზი ბურა გახსენით 1 ჩაის

სტაქინ წყალში და ამით გამოუვლეთ პირი.

თუ ავადმყოფობის დროს სტომაქიც მოეშალა და ტანში ცუდად გახდა ხმა, მაშინ უნდა რძეში გაურიოთ 1 მისხალი რევანდი (ревенე) და 2 მისხალი ცარცი და ისე ასვათ.

კრაგის პირის ტკიცილი

ძუძუმწოვარი კრაგის (ბატკანს) პირში ლორწოვან კანზე (ენაზე, ღრძილებზე, ტუჩებზე) დაყრილი აქვს პატარა ბუშთები წბოლით სავსე. პირი სავსე აქვს უსუფთაო ნერწყვითა და უყარს. ბუშთები სქდებიან, წბოლი გამოდის და იმ ალაგას რჩება იღვლებილი კანი. ეს აღვლებილი აღგილები ძლიერ სტკოვა კრაგისა, ძუძუს ილარა სწორს და ხდება.

მიზეზი ასეთი ავადმყოფობისა დედის რძეშია, სადაც სოკოვები გაჩენილან და იწვევენ ამ ანთებას.

ექიმობა. დედა-ცხვარს უნდა გაუუმჯობესდეს სასმელ-საჭმელი და სადგომი, რომ საღი რძე მოიდგას. ავადმყოფ კრაგის უნდა გამოურეცხოთ პირი 1—2% ბორის ან კარბოლის სიმჟავით, ან ტანინით.

ცხენის სასას ავადმყოფობა (ჩამობერება)

ცხენს ზოგჯერ სასა ჩამოებერება ხოლმე ძირს ბარე ერთი თითის სისქეზედ. უფრო ხშირად ჩამობერილი სასა არა სტკივა ცხენს, მაგრამ ეხამუხება პირში და საჭმლის კანის უშლის. ზოგჯერ კი სასა შეწიოლებულია და ცხენი ტკივილსა გრძნობს.

ასეთი ავადმყოფობის მიზეზი ცხენის სისუსტეა საზოგადოდ; კბილების ავადმყოფობა, ხმელი, უნოყივრო და მოუხეშელი საჭმელი, ქერის მარცვ-

ლის ან სხვა რამე მაგარი საგნის შეჩირება სასაში და სხვა.

ექიმობა. ამ შემთხვევაში უნდა ვიხმაროთ ხორცის გასამაგრებელი რამ წამალი (მაგ. შაჩი, მუხის კანი, ძმარი და სხვა).

1) ავილებთ შაბს ან მუხის კანს და საჭმელ მარილს ტოლ-ტოლად წონით; დავნაყვავთ ერთად და დღეში 1—2-ჯერ შევასრესავთ ცხენს სასაზედ.

2) შეიძლება ფხვნილის მაგიერ მოვამზადოთ პირში გამოსავლები: 1 ბოთლ წყალში გავხსნით, 3 მისხალ შაბს.

3) ან და 20 მისხალ სალიბს (შაქ-ფეშ) დავასხამთ 1 ბოთლს ადუღებულ წყალს, $\frac{1}{4}$ საათს ვადუღებთ ამ წყალში და მერმე მიუმატებთ $\frac{1}{2}$ ვირვანქა ძმარს და $\frac{1}{2}$ გირვანქა თაფლს. ამ წამალს გამოვავლებთ პირში.

ოპერაციაც შეიძლება გავუკეთოთ, მაგრამ ამას ხშირად ცუდი შედეგი მოყენება ხოლმე. ოპერაცია მეტიც იქნება, თუ ზევით ჩამოთვლილ ზომებს ვიხმართ. ოპერაციას ისე აკეთებენ: სასას სიგრძეზედ ზედ შუა აღგილზედ ღარი დაუყვება, რომელიც ჰყოფს სასას ორ თანასწორ ნახევრებათ: მარცხენა ნახევარი და მარჯვენა. აიღებენ მჭრელ დანას და გამოვუსვამენ 1—2-ჯერ ამ ნახევრებზედ უკანიდან წინისკენ ისე, რომ სასაზედ კანი დაისეროს და სისხლი გამოვიდეს. ასეთი სისხლის აღებით ჩამობერილი სასა დაცხება და მიიღებს თავის ნორმალურ მდგრადობას. ოპერაციის დროს უნდა ვეცალნეთ სასა შუა აღგილზედ, სადაც ღარი დაუყვება, არ დავსეროთ, ფრთხილად უნდა მოვიქცეთ მეტაზრე რომ ღარის წინა თავი, კბილების ახლოს, არ გაიჭრის, რაღვან აქ მსხვილი ძარღვია.



სისხლისა და რომ გაიჭრას, სისხლი ძნელი შესაწყვეტი იქნება.

კბილების ავადმყოფობა ცხენისა და სხვა ცხოველებისა

1) უსწორ-მასწოროდ გადაცვეთილი კბილები.

ჭიმის დროს ზედა და ქვედა კბილები, ერთი მეორეს ელექტრიან და იცვეთებიან. თუ მოპირდაპირე კბილები ერთი მეორეს არ ედგმებიან სწორედ, მაშინ ცალმხრივად გადაცვითებიან, ნაწილი გადაუცვეთებილი რჩება, თანდათან წვეტიანდება საღისისავით და ილექსება დანასავით. ასეთი კბილი ეჩრება პირის რბილ ნაწილებში და ჭრილობას ახდენს. ამიტომ ცხენი მორიცებით სჭამს, საჭმელს ვეღარ ღეჭავს, ნაწილი საჭმელისა პირიდან სცვივა. ასეთი ჭამით ცხენი იმშევა, სუსტდება.

ექიმობა. საჭიროა ის გადაუცვეთები, წვეტიანი ნაწილი კბილისა მოიქლიბოს. ამისათვის საგანგებოდ კბილების საქლიბავად გაკეთეთებულ ქლიბსა ხმარობენ, მაგრამ ამ ქლიბის მაგივრობა შეიძლება სხვა ქლიბსაც გავაწევინოთ, მაგ. მეწალის რაშპილისა, ჭოპოსანს და სხვა. შეიძლება აგრეთვე მაგარი და სწორე პირიანი გაზითაც წავკვნიტოთ წვეტიანი ნაწილი კბილისა. ხოლო რასაკვირველია, ფრთხილად უნდა მოვიქცეთ, რომ რაც არაა საჭირო იმაზედ მეტი არ მოვაკლოთ კბილსადა ან არ ჩავამტვრიოთ, რბილი ნაწილები არ დაუშავოთ საღმე პირში. ცხენს პირი უნდა გაღებული დავაჭრონოთ, რომ მუშაობა დაგვაცალოს და კარგათაც მივუდგეთ სამუშაოთ. ამისათვის საგანგებო იარაღებია სხვადასხვანირი, ხოლო მათ მაგიერ ჩვენ შეგვიძლიან ხის სოლი ვიხმაროთ (იარაღებიც

ამგვარი ფორმისაა). სოლს მივსცემთ სიგრძით ზედა და ქვედა კბილებს შუა იმ მხარეზედ, საითაც არ ვმუშაობთ. სოლის სიღილე იმაზედაა დამოკიდებული, თუ ცხენს ბუნებრივად რამდენად შეუძლიან პირის გალება. მეტად რომ გავალებინოთ პირი შეიძლება ყბა ამოვაგდებინოთ.

2) გამოხრული ანუ ჭიანაჭამი კბილი.

როცა კბილი ხრწნას დაიწყებს, მჟამელი მოედება; კბილი იხვრება თანდათან, მის გადალესილი პირიდან ხვრელი თანდათან ძირისკენ იწევს, ტკივილი იწყება, ანთება გადადის ღრძილებზე და ბოლოს მჭამელი ყბის ძვლამდისაც მიაღწევს.

გამოხრული კბილი ჯერ ერთი იმითი აწუხებს ცხოველს, რომ შიგ საჭმელი ეჩხირება ჭამის დროს და მეორე, თუ ხვრელი ძლიერ გაღრმავდა, კბილი ასტკივდება, შიგ ჩაცვივნული საჭმელი ლპება და ყროლდება. კბილიდან ჩირქი გამოიღის, თანდათან სუსტდება და იფშევნება. ასეთ გარემოებაში ცხენს საჭმელის ჭამი უჭირს, იმშევა და სდება.

ექიმობა. სანამ ძალიან გაღრმავდებოდეს ხვრელი, უნდა კარგათ ამოუწმინდოთ, იოდოფორმი ჩაუყაროთ შიგ და ზემოდან დაუტენოთ კარგად სკიპიდარში დასველებული ბამბით, ან დაჩქრილი კანაფით. როცა ესეთი პლომბა გაუფუჭდება კიდევ გაუკეთებთ. პლომბა 1—2 თვემდის და შეტსაც ეყოფა. თუ ასეთ კბილს სულაც ამოვაძრობთ, ეს კიდევ უკეთესი იქნება, რადგან ამით ავადმყოფობასაც მოვაშორებთ და მისი გაარჯლების შიშსაც. კბილის ამოსაძრობათ აღამიანის კბილის ამოსაძრობ გაზებს ვწმარობთ. კბილის ამონალებ ბულეში იოდოფორ-

მის ფხვნილში ამოქანქნილი ბამბას უნდა ჩავუტენოთ, რომ სისხლის დენა შესწყდეს და მასთან შიგ საჭმელი არ ჩაცვიდეს და უსუფთაობით სისხლი არ მოიწამლოს. როცა მოეშუშება, ბამბას ამოვიღებთ.

3) ორი კბილი ერთ ბუდეში კვიცს, ხბოს, ზაგს, კრავს ხშირად, როცა ჯერ კბილი არ მოუცვლიათ, ახალი

კბილი ამოსდით ასე რომ, ერთ ბუდეში მოსაცვლელი კბილიცაა და ახალი, სანიადაგო კბილიც...

ექიმობა. საჭიროა მოსაცვლელი კბილი დროზედ ამოვაძროთ, თორემ კბილები უხეიროდ ამოვლენ, კბილების წყება დაიხსორება და აქედან კბილებიც უსწორ-მასწოროდ დაიწყებენ ცვეთას.

გ. ცხადაძე

მინერალური სასუქები

რომ უფრო უკეთ გავიცნოთ ხელოვნური ანუ მინერალური სასუქები, ამისათვის საჭიროა პირველად საქონლის პატივის იმ ძალის გამოკვლევა, რომელიც ანოყიერებს და ანაყოფიერებს ჩვენ დედამიწას.

ნეხვში საზოგადოთ ორი უმთავრესი ძალაა, ერთი რომელიც აფხვიერებს ზეადაგს, რის წყალობითაც ეს უკანასკნელი ღიაბანის ინახავს სინესტეს და მალეც არ ცივდება და მეორე ის იმისი სხვადასსვა ნოყიერებანი, რომლებსაც მცენარეები ფესვებით ღებულობენ მიწიდან.

ნეხვის ნოყიერება შესდგება სხვადასხვა ნივთიერებებისგან, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა თვისება და რომელნიც თავის შესაფერად მოქმედობენ მცენარის ცხოვრებაზე. ამ ნივთიერებათა სხვადასხვაობას თვით საქონლის პატივში დავინახავთ ჩვენ.

მაგალითად ნეხვს, რომელიც ღიაბანს იყო ჰაერზე დარჩენილი, ცხელ ზაფხულის დღეში რომ დავაკვირდეთ, ადვილად შევამჩნევთ, რომ იმას ზემოდან რაღაც მოთეთრო მტვერი აქვს შემოურილი. ახლო რომ გავშინჯოთ ეს მტვერი, ვნახავთ რომ იგი ნამდვილი

გვარჯილის მარილია (სელიტრა). იმ გვარჯილაში იმყოფება ის უმთავრესი მცენარის საკვებავი, რომელსაც აზოტს უწოდებენ. მაშასადამე ნეხვის აზოტი სიცხის და ჰაერის ზედგავლენით გარდაიქცა გვარჯილის მარილით.—გვარჯილა ძალიან აღვილად დნება წყალში, ამისათვის წვიმების დროს წყალს ჩააქვს ნიადაგში ღრმად და მიზეზიც ეს არის რომ გარედ ჰაერზე დაყრილი ნეხვი ადვილათა ჰკარგავს თავის ზოგიერთა ნოყიერებას.

მიწაში ჩაბარულ ნეხვს იგივე ემართება, რაც ჰაერზე, მხოლოდ იმ განსხვავებით რომ მიწაში ნეხვის აზოტი მძიმედ გარდაიქმნება გვარჯილის მარილით და მცენარეებიც აღვილად ასწრობენ აზოტის შეფეისებას. ამნარად საქონლის პატივში ჩვენ აღმოვაჩინეთ ერთი უმთავრესი საკვებავთაგანი—აზოტი, რომელიც ნეხვის დაწვის, ესე იგი დაძველების დროს გვარჯილის მარილით იქცევა ხოლმე. ამასთან ჩვენ ისიც უნდა ვიცოდეთ რომ ნეხვში აზოტის გარდა კიდევ სხვა საკვებავებიც არიან.

როგორც ზევით დავინახეთ, როდესაც ნეხვი დაიწვება ანუ დაძველ-

დება იმის აზოტი მარილად გადადის, ამიტომ დამწვარი ნეხვი ჩვენ შეგვიძლიან შევადაროთ ნაცარს. ნაცარი კიდევ როგორც მცენარეებისა ისეც ნეხვისა წყალში გახსნით იყოფა ორ ნაწილათ: ის ნაწილი ნაცრისა, რომელიც გაიხსნება წყალში იქმნება ნაცარ-წმუნი და შეორე გაუხსნელი ნაწილი კი — ლექი. გასუფთავებული და გასქელებული ნაცარწმუნი წარმოადგენს ნაცარტუტის მარილს, რომელშიაც იმყოფება მცენარის საუკეთესო საზრდო კალი. გაუხსნელ ნაცრის ლექში კი ჩვენ ვიპოვით ორ გვარ საკვებავს, სახელდობრ: ფოსფორის ხიმურავეს და კირს. მცონი ახლა ყველასათვის ცხადი უნდა იქმნეს რომ საქონლის პატივში ოთხი უმთავრესი საკვებავი ყოფილა. აზოტი, კალი, ფოსფორის სიმჟავე და კირი. როგორც ზევით მოვისენიერ ყველა ამ ჩამოთვლილ საკვებავებს თავისეური თვისება აქვთ. მაგალითად აზოტი ზრდის მცენარის მწვანე ნაწილებს; კალი ტოტებს, ყლორტებს და ფესვებს. ამ ნაირათ კალინარევი სასუქები ძირ-ნაყოფიანი მცენარეებისთვის საუკეთესო პატივათ უნდა ჩაითვალნენ. ფოსფორის სიმჟავე საზოგადოთ ხელს უწყობს ნაყოფის დამთავრებას.

დაუბრუნდეთ ისევ ხელოვნურ სასუქებს.

მაშ უმთავრესი განსხვაება ხელოვნურ სასუქებსა და ნეხვ შორის ყოფილა ის, რომ ეს უკანასკნელი მცენარეს აძლევს ყველანარ საზრდოს, ხელოვნური სასუქი კი მარტო ერთ საკვებავს. იმისათვის ხელოვნური სასუქები იყოფიან: აზოტ-ნარევ, კალი ნარევ, ფოსფორიან და კირიან სასუქებათ. ხელოვნური სასუქები, რომლე-

ბიც მზადდება გასასყიდათ, ყველა ერთ ნაირი როდია ღირსებით.

შეიძლება ერთი და იგივე სასუქი კარგიც იყოს და ავიც ეს ავკარგიანობა დამოკიდებულია ჯერ ერთი იმათ დადნობის თვისებაზედ: რაც უფრო ადვილათ იხსნება სასუქი წყალში, იმდენათ უკეთესია მცენარისათვის, ის ადვილად ითვისებს მას; მეორე: რაც შეტი საკვებავი ნივთიერება იქმნება იმაში, იმდენათ კარგ მოსაგალსაც მიიღებთ. გარდა ამისა დიდი მნიშვნელობა აქვს სასუქის სიცხვირესაც: ფხვიერი სასუქი მაღეცა ღნება და გაპატივების დროს თანაბრივაც ეყრება მიწას.

აზოტი

ჩილის ქვეყანაში (სამხრეთ ამერიკაში) გვარჯილას იღებენ მიწიდან. იქ მდიდარი მაღნებია ამ მარილისა. მაღანს ანგრევენ თოფის წამლის საშუალებით, შემდეგ წყალში გახსნით ასუფთავებენ მას და ასე გასუფთავებულ გვარჯილას ჰყიდონ. დიდი გასავალი აქვს ჩილის გვარჯილის. მაგალითად ჩილის გაუსაღებია:

1840 წელს 1 მილ. ფუთი

1870 — 13 " "

1890 — 50 " "

1905 — 100 " "

ჩილის გვარჯილა საზოგადოთ მდიდარია აზოტით. იმაში 15%-დის მოიპოვება ეს საკვებავი. თავის თავად გვარჯილა მოთეთრო ფერისაა და თითქმის მუდამ ნესტიანი. წყალში ღნება ძალიან ადვილათ. ამგვარი თვისებით ჩილის გვარჯილის პირველი ადგილი უჭირავს სხვა ხელოვნურ სასუქებში. ჩვენ ვამბობთ რომ გვარჯილა ადვილად იხსნება წყალში, მაშიადამე — მსუბუქ და ფხვიერ ზეადაგებს მეტი

მოუნდება ეს სასუქი, ვიდრე მძიმე მაგარ მიწებს.—გარდა ამისა ჩილის გვარჯილი სწრაფათ მოქმედია მცენარეზედ, ამისათვის ამ სასუქით გაპატივებულ ჭინაშულს ორი კვირის შემდეგ შორიდანვე გამოარჩევთ სხვა ჯეჯილიდან, რადგან გვარჯილათი გაპატივებული მცენარეები სულ სხვა ფერზედ დაიწყებენ ღალანს. მცენარემ რომ შესძლოს ნეხვის აზოტით სარგებლობა ამისათვის საჭიროა რომ ჯერ ნეხვის აზოტი იქცეს მარილათ, ესე იგი გვარჯილათ, რაც მაგარ ნიადაგებში მძიმეთა ხდება, მეტადრე თუ გაზაფხულიც ცივი შეხვდა. ამიტომ გვარჯილის მარილი უკეთეს სასუქათ უნდა ჩაითვალოს, რადგან ჩილის გვარჯილაში აზოტი უკვე დამზადებულია და სწორეთ ეს არის ჩილის გვარჯილის უმთავრესი ღირებაც. ამ სასუქს შეუძლიან მოგვიტანოს სარგებლობა ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მცენარეებს ესაჭიროებათ დამზადებული აზოტი. მაგალითად შემოდგომის ნათესობისთვის, რომელსაც ზამთრის ყინვა-თოვლი ცოტათ თუ ბევრათ დავაღმყოფებს, რისთვისაც იგი გაზაფხულზედ თანაბრივ აღარ იზრდება, ჩილის გვარჯილა უებარი წამალია. მოაყრეთ ეს სასუქი და თქვენი დაზიანებული ჭინაშული სულ ცოტა ხნის განმავლობაში შოკოცლდება და წელს გაიმაგრებს.

გვარჯილი იხმარება ხეხილებისა და ბოსტნეულობისა გასაპატივებლათ. ყველამ ვიცით, რომ კომბოსტოს გაგიჟებით უყვარს ნეხვის პატივი, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ კომბოსტოს ფესვები მხოლოდ აზოტს იღებენ ნეხვიდან. რადგანაც მიწაში ჩაბარულ ნეხვის აზოტი ჩქარა არ გადადის აზო-

ტის მარილია და ბოსტნეულობისათვის კი აუცილებელია ჩქარა ზრდა, ამისათვის დამზადებულ აზოტს, ე. ი. ჩილის გვარჯილის დიდი სამსახური შეუძლიან გაუწიოს მებოსტენს.

ჩილის გვარჯილი იხმარება აგრეთვე იმ ხეხილების გასაპატივებლად, რომლებიც მძიმეთ იზრდებიან. მხოლოდ სასუქის შეხმარების დროს სახეში უნდა იქონიოთ გვარჯილის უმთავრესი თვისება, სახელდობრ: მცენარის მწვანე ნაწილების სწრაფი და თამაში ზრდა. ამ გარემოებამ შეიძლება ბლოლის თვით იმ ხეხილის მსხმოიარობაზედაც ცუდათ იმოქმედოს.

მეორეს მხრით ის გარემოებაც არ უნდა დაიგიწყოს მეურნემ, რომ ჩილის გვარჯილი გაშან მოუტანს ზეადაგს სარგებლობას, როდესაც იმაში იქმნებიან კიდევ ორი საკვებავი: კალი და ფოსფორის სიმჟავე.

გამხმარი სისხლის ფენილი

ეს სასუქი საქონლის სისხლისაგან მზადდება. რესეთის დიდ საყასპოებში აგროვებენ სისხლს, აყრიან ცოტაოდენ კირს და შემდეგ მზეზედ ან ცეცხლის საშუალებით ახმობენ მას. ამგვარი პატივი ბევრით ნაკლები აღარ არის ჩილის გვარჯილაზედ, ამაშიც $12 - 14\%$ აზოტი მოიპოვება. ჯერ-ჯერობით რუსეთის საყასპოები 200,000 ფუთამდის ამზადებენ ამ სასუქს.

მხოლოდ რუსეთი თითონ კი არ ხმარობს ამ სასარგებლო პატივს, არამედ მთლიად სამზღვარ გარეთელ მეცნევებს გააქვთ თავიანთ სამშობლოში. უმთავრესი განსხვავება ამ ორ სასუქ შორის ის არის რომ ეს უკანასკნელი უფრო ძნელითა დნება წყალში და ამისათვის ანეულისათვის უფრო სასარგებლოა,



ვიდრე გაზაფხულის ნათესობისათვის. რადგან შემოდგომაზე მოყრილი სისხლის ფქვილი გაზაფხულამდის დამზადება შესათვისებლად.

კალინერები სასუქები

სტასფურტის მარილი. — დიდი ხანია რაც გერმანიის ქალაქ სტასფურტის ახლო, მდიდარი მარილის მაღნები აღმოაჩინეს გერმანელებმა, რომლებმაც გულიანად დაიწყეს იმის დამუშავება. კარგ მარილის გარდა მაღანში მწარე მარილიც აღმოჩნდა, რასაც პირველად არავინ არ აქცევდა ყურადღებას. შემდეგ კი როდესაც ამ მარილში მცენარის ერთი საჭირო საკვებავთაგანი კალი აღმოაჩინეს ამ დღიდან დიდი სახელი გაითქვა ამ მწარე სტასფურტის მარილმა და დღეს მთელ ქვეყნიერობაზე საუკეთესო ბაზარი აქვს მოპოვებული.

მაგალითად გერმანიდან გაუტანიათ სხვა სახელმწიფოებში:

1870—	17	მილ.	ფუთი
1890—	77	"	"
1905—	293	"	"

რუსეთში მარტო ამ ბოლო ხანებში დაიწყეს სტასფურტის სასუქების ხმარება.

მაგ. რუსეთს შემოუტანია გერმანიიდან 1907 წ—335,000 ფუთი

1908,— 1095 "

სტასფურტის მარილებს სხვადასხვა ღისებისას შეხვდებით ბაზარზედ. დაბალ ხრისხივან სტასფურტის მარილებში კალის გარდა სხვა გარეშე ნივთიერება არის გარეული, რომელებმაც შეიძლება ცუდათ იმოქმედონ მცენარის ცხოვრებაზე. უკავთეს სასუქებათ უნდა ჩაითვალოს შემდეგი ჯურა სტასფურტის მარილებისა.

კაინიტი—ნაცრის ფერი მარილია და შეიცავს 12% კალის. იხმრება უფრო სათიბ აღილებისა და ანეულების გასაპატიებლად. ყრიან დათესვის ორი კვირით წინ დესეტინაზე 24—36 ფ.

30%—40% კალის მარილი ჰგავს კაინიტს, მხოლოდ ფერით უფრო სუფთაა პირველზე. მოქმედობს ჩერა. ამგვარი სასუქები კარგი იქმნება გაზაფხულზე შეხმარდეს. დესეტინას მოუნდება 24—36 ფუთი. უნდა მოყვაროს დათესვის ორი კვირით წინ.

ქლორის კალი, რომელიც შეიცავს 55% კალის, ძალიან სუფთა მარილია. ეს ორი უკანასკნელი ჯურა მარილები როგორათაც ძვირფასი, უკეთესი იქმნება ახმაროთ მხოლოდ ხელმისაცემ მცენარეებს, მაგალითად ვენახს, ხეხილს, თამბაქოს და სხვა. ერთ დესეტინას უნდება მხოლოდ 3—4 ფუთი.

კალინარე სასუქებს ერთი ფრიად საყურადღებო თვისება აქვთ მორიგობით თესვაში (ცხვინიბოროთ). მაგალითად გამოკვლეულია, რომ მინდვრის ბალახი ბევრ კალის ართმევს მიწას, სათიბ აღილებს კი იშვიათად აპატივებენ სასუქით. ამნაირად რამოდენიმე წლის შემდეგ კალი მთლად ელევა ზეადაგს და ბალახიც აღარ მოღის რიგიანი. ამიტომ საჭირო ხდება სათიბი აღილების კალინარევი სასუქებით გაპატივება. გარდა ამისა შეხვდებით იმნაირ ზეადაგებსაც, სადაც ძალიან ნაკლებათ მოიპოვება კალი. ამგვარ ზეადაგებს წარმოადგენენ ქვიშა ნარევი, ტორფიანი და სხ. მიწები. ამ მიწების გამოსაკეთებლად მეურნე იძულებული ხდება ნებვი ან კალინარევი სასუქები იხმაროს. რა თქმა უნდა, მეორე გვარი



სასუქი უფრო იაფად დაუჯდება კაცს, ვიდრე პირველი.

მაშტავიჩეს ღირსებაც სტასფურტის მარილების ის ყოფილა, რომ ამ სასუქის და ფოსფორიან მარილების წყალობით შეგვიძლიან ჩვენ ზეადაგს აზოტიც შევმატოთ. აი როგორ: იონჯა და საზოგადოთ ყველა პარკიან მცენარეები: ლობიო, ცერცვი, მუხუდო, ცულის პირა და სხვა არა თუ ღებულობენ მიწიდან აზოტს, არამედ პირიქით მატებენ მიწას. მაგალითად იონჯა, აძლევს ერთ დესეტინა მიწას იმდენ აზოტს, რამდენიც იმყოფება სამუალოთ დაღებულ 100 ურემ ნებვში, სამაგიეროდ იონჯა თხოულობს მომეტებულ კალინარევ სასუქებს.

მაშასადამე, როდესაც ულონო მიწას მოვაყრით კალინარევ და ფოსფორიან

სასუქებს და დავთესავთ იონჯას, ერთი წლის უკან ჩვენ გვექნება ერთის მხრით საუკეთესო იონჯის თივა და მეორეს მხრით — ზეადაგს მუქთად შერჩება იონჯისაგან დატოვებული აზოტი.

სამზღვარ გარეთ შემოღებული მორიგობითი თესვა იონჯისა და კალიფოსფატიურ *) სასუქების ხმარებაზედ არის დამოკიდებული. ხელოვნური სასუქების დაყრით იქ ღებულობენ საუკეთესო იონჯას და ამ უკანასკნელის წყალობით კიდევ მიწას ემატება აზოტნარევი სასუქი.

ნახუცრიშვილი

ზორისოვი.

*) ეს იგი კალიანი და ფოსფორიანი სასუქები ერთად არეული.

საყურადღებო ცნობები

ძუძუმარწყვა ძუძუმარწყვას, სანამ დაისხამს, წერილი კეწერები გამოაქვს. ეს კეწერები გამოსვლისავე უმაღ რომ დავაჭრათ მცენარეს ნაყოფი, უფრო მსხვილი და ლამაზი შეიქმნება. კეწერები ძუძუმარწყვას გასამრავლებლად, რასაკვირველია, ნაყოფის დაკრეფის შემდეგ აიღება.

ჩილის გვარჯილა მწერების წინააღმდეგ. შვეცარიში სცადეს გვარჯილის ზედმიმქედება მწერებზე, რომელიც ჭარხლის ფოთოლს ეწვევიან და აფუჭებენ. გამოცდა მშენებირი შედეგით გათავდა: ჯერ ერთი რომ მცენარე ფქსეებით ითვისებდა გვარჯილას, მით მეტად იზრდებოდა, ღონივრდებოდა და უფრო ადვილად უძლებდა იმ წნებას, რომელიც მწერებს მოაქვთ, და მეორე ის რომ ეს გვარჯილა თვით მწერის ჭიებზე დაც მოქმედობდა პირდაპირ, ხოცავდა მათ. რაც გვარჯილას მოაყრინენ მცენარეს რაოდენიმე ხნის შემდეგ ფოთლებიდან ჩამოცივანულ ძირს ჭიებს და ჭიის პარკებს პოულობრნენ მაზარალებელ მწერებისას.

ამ ცდაზე დაფუძნებით ბ-ნი შეიძერი ურჩევს მებაღებს გამოსცადონ გვარჯილის ზედმიქმედება სხვა. მაზარალებელ მწერების წინააღმდევაც, როგორც მაგალითად კომბასტოს ჩრჩილის და მუმლის წინააღმდევ და სხვა.

ხელოვნური სასუქი კიტრის ბალში. ერთ საყურადღებო ამბავს ხელოვნური სასუქის ზედმიქმედებისას „კიტრის მოსავალზე მოგვითხრობა „ჩუქმი დეревნი“.

კიტრის დასათვასათ აურჩევით 150 კვ. საჟ. გამოფიტული ადგილი. გაზაფხულზე ამ ადგილისოვას მოუყრიათ 2 ფ. ტომასშლაკი და 15 გირვანქა 300/0-იანი კალინარევი სასუქი. შემდეგ რაც მცენარე ამოსულა კვლებსა და კვლებ შუა გამოთხოს დროს დაუყრიათ 30 გირ. გვარჯილა. ყველა ეს სასუქი ღირდა: ტომასშლაკი 80 კ., კალინარევი სასუქი 30 კ. და გვარჯილა 1 მ. 50 კ., სულ გრთა 2 მ. 60 კ.

მიუხედავად იმისა რომ ტულის გუბერნიაში, სადაც ეს ცდა მოახდინეს, შარშანდელი 1909



წლის ზაფხული ვერ იყო კარგი მოსავლიანი, ამ გაპატივებულ ადგილზე იმდენი კიტრი მოს სულა რომ ჩვეულებრივ ფასში გასყიდვით 70 მან. აუყენებია.

იქვე ამ ადგილს ახლო ყოფილა მეორე ნაკომბოსტარი ალაგი, რომელიც კომბოსტოს დათვესამდე უშვად ყოფილა გაპატივებული. ამ მეორე ბაღში იმდენავ (150 კ.), ადგილზე დათვესილ კიტრიდან მთელი ზაფხულის განა მავლობაში მხოლოდ 6 მანეთის კიტრი აუღიათ.

ამგვარად ზედმეტად დახარჯულს 2 მ. 60 კაპიტიკს ხელოვნურ სასუქშე 61 მ. 40 კ. წმინდა მოვება მოუტანია 150 კვ. საჟ. ადგილზე. შესანიშნავია აქ კიდევ ის გარემოება, რომ ყველა იმ კიტრებში რაც ხელოვნური სასუქით გაპატივებულ ადგილზე დაიკრიფა, არცერთი კიტრი არ ყოფილა დაავადებული როდესაც რომ მეორებან დაკრეცილ კიტრებიდან 1/3 ნაწილი „ბრაჟი“ ვამომდგარა.

განცხადება

ყოველდღიური საბოლიციკო და
სალიცერაცურო გამჭვივი

წელიწადი შესამცი წელიწადი შესამცი

1910 წ. გაზეთი გამოდა იმავე პრიკრამით როგორითაც წარსულ წლებში გამოდიოდა.

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირაობით

სრუათიანიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მ. 81 კ., ერთი თვით—80 კ.

ცალკე ნომერი ერთი შაურა, დამატებიანი ნომერი (კვირისა) შვიდი კაპიკი.

არცესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ კედლის კალედარი 1910 წლისა.

ახერისული ვაზის სანერე
კრიტ-უგურული

ქ. ქუთაისში

სანერე მდიდარია უკველნაირი ჯიშის ვაზებით და ამ მხრივ პირველი აღინილი უჭირავს მთელს რესეტმრ.

მსურველთ გაეგზავნებათ პრე-ონკურანტი და განმარტებანი უფასოთ.

სამაურნეო უზრუნველისი

მოსავალი

ერთ წიგნად უდა-კაზოული უურნალის ყველა 15 ნომერი აქამდე გამოსული მსურველთ დაეთმობათ იმავე 2 მანეთში, რამდენიც წლის დამლევამდე ლირდა უურნალი.

სამაურნეო უზრუნველისი

მოსავალი

წელიწადი შეთრე

მიღება ხელისმოწერა 1910 წლისათვის. უურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქციი პპირდება თავის ხელის - მომწერლებს რჩეულ მცნა რების საუკეთესო თესლის გაგზავნის უფასოდ.

თუ შეძლებს რედაქციი, უურნალის ხელისმომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრედვე უფასოდ თითო წიგნს — ბროშურას მეურნეობის რომელიმე დარგიდან.

რედაქციის დორესი: თიფლის, ბართინსკая, 5. რედაქცია «МОСАВАЛИ».

რედაქ.-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე